ძალადობაგამოვლილ ქალთა მხარდაჭრის სერვისების შესახებ ინფორმირებულობა

შესავალი

წინამდებარე მოკლე ანგარიში წარმოადგენს ქალთა ფონდი „სოხუმის“ მიერ მონიტორინგის ფარგლებში ჩატარებული კვლევის ნაწილს, რომელიც ფოკუსირებულია ძალადობაგამოვლილი ქალების მხარდაჭერის სერვისების შესახებ ინფორმირებულობის დონის შეფასებაზე. ანგარიშში წარმოდგენილია ის ცვლილებები, რომლებიც დროთა განმავლობაში იკვეთება ქალთა ინფორმირებულობის თვალსაზრისით, რაც გავლენას ახდენს ძალადობაგამოვლილ ქალთა მხარდაჭერის სერვისებზე ხელმისაწვდომობის ხარისხზე.

კვლევის მონაცემები მიუთითებს, რომ **2023 წელთან შედარებით ქალთა ინფორმირებულობის დონე მცირედით გაუმჯობესდა.** თუ **2023 წელს, ქალთა 12%-ს არასოდეს სმენია მხარდაჭერის სერვისების შესახებ, 2024 წლის სექტემბრისთვის ეს მაჩვენებელი 5%-მდე შემცირდა.** მიუხედავად პროგრესისა, კვლავ არსებობს მნიშვნელოვანი გამოწვევები, რაც ცნობიერების ამაღლების მიმართულებით სისტემურ მუშაობას საჭიროებს. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია გრძელვადიანი სტრატეგიული მიდგომის დანერგვა, რომელიც უზრუნველყოფს მხარდაჭერის სერვისების შესახებ ინფორმირებულობის გაძლიერებას და გენდერული სტერეოტიპების დაძლევას.

აღნიშნული მოკლე ანგარიში ეფუძნება ქალთა ფონდი „სოხუმის“ მიერ 2024 წლის მაისი-ოქტომბრის თვეებში ჩატარებული თვისებრივი და რაოდენობრივი კვლევის მონაცემებს. **კვლევამ მოიცვა 11 სამიზნე მუნიციპალიტეტი: ჩოხატაური, ქობულეთი, წყალტუბო, ქუთაისი, ხონი, თერჯოლა, სამტრედია, სენაკი, ზუგდიდი, წალენჯიხა და ხობი.** თვისებრივი კვლევის მეთოდით (ინტერვიუები, ფოკუს-ჯგუფები) გამოიკითხა 52 რესპონდენტი, მათ შორის როგორც სერვისის მიმწოდებლები, ასევე სერვისის მიმღებები. რაოდენობრივი კვლევის ფარგლებში გამოიკითხა 553 ქალი.

მიგნებები

- **რაოდენობრივი კვლევის მონაცემები** მიუთითებს, რომ 2023-2024 წლების მონაცემების მსგავსად, **ძალადობაგამოვლილ ქალთა 52.3%-ს მხოლოდ რამდენიმე მხარდაჭერის სერვისის შესახებ აქვს ინფორმაცია.** მიუხედავად იმისა, რომ ინფორმირებულობის დინამიკა მცირედით, მაგრამ სტაბილურად იზრდება, **სრული ინფორმაციის მქონე ქალთა წილი 2023 წელთან შედარებით 13%-დან 18%-მდე გაიზარდა** (იხ. დიაგრამა #1). წინა კვლევებთან შედარებით **შემცირდა იმ ქალების ხვედრითი წილი, ვინც საერთოდ არ ფლობს ინფორმაციას** ძალადობის მსხვერპლთა მხარდამჭერი სერვისების შესახებ (2024 წლის სექტემბერში 5.2%, მაშინ როდესაც 2023 და 2024 წლების ზაფხულის კვლევებში ეს მაჩვენებელი 10-12%-ს შეადგენდა).

დიაგრამა №1

გაქვთ თუ არა ინფორმაცია ძალადობის მსხვერპლთა მხარდაჭერის სერვისების შესახებ?



მიგნებები

- **რაოდენობრივი კვლევის მონაცემები** (ცხრილი #1) მიუთითებს, რომ ქალთა ინფორმირებულობა ყველაზე მაღალია **ოთხ** სერვისთან მიმართებაში: **არასამთავრობო ორგანიზაციები, მუნიციპალური სერვისები, თავშესაფრები/კრიზისული ცენტრები და პოლიცია/112;** არასამთავრობო ორგანიზაციების ცნობადობა განპირობებულია მათი აქტიური საინფორმაციო კამპანიებითა და ძალადობაგამოვლილ ქალებთან უშუალო კომუნიკაციით, რაც თვისებრივი კვლევის შედეგებით დასტურდება;

- **მუნიციპალური სერვისების შესახებ** მოსახლეობის ინფორმირება მიუთითებს მათი მხრიდან ინფორმაციის გავრცელების გაძლიერებაზე, მოსახლეობასთან შეხვედრებისა და სხვა ინფორმაციული არხების გამოყენებით. ამ პროცესში არასამთავრობო ორგანიზაციები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ, რადგან ისინი აქტიურად უწყობენ ხელს მუნიციპალიტეტებსა და მოსახლეობას შორის კომუნიკაციას, და ადგილობრივი სერვისების შესახებ ინფორმაციის უფრო ფართოდ გავრცელებას;

- კვლევის მონაცემები ცხადყოფს (იხ. დიაგრამა #2), რომ სერვისების შესახებ ინფორმაციის გავრცელებაში განსაკუთრებული როლი ეკისრებათ **არასამთავრობო ორგანიზაციებს** (59.9%), რაც მათი სანდოობის და საზოგადოებასთან აქტიური კომუნიკაციისა შედეგია. **სოციალური ქსელები** (36.5%) და **მეგობრები/ნაცნობები** (26%) მიანიშნებენ არაფორმალური და ციფრული კომუნიკაციის მზარდ მნიშვნელობაზე და გავლენაზე, განსაკუთრებით ფორმალური ინფორმირების შეზღუდულობის პირობებში. **ადგილობრივი ხელისუფლების მხრიდან მოსახლეობასთან შეხვედრების გზით ინფორმაციის გავრცელება (31.8%),** მიუთითებს მათი ჩართულობის პოზიტიურ ტენდენციაზე და მზარდ როლზე, რაც არაერთი კვლევის შედეგებითაც დასტურდება. მიუხედავად ამისა, ეს არხი კვლავ საჭიროებს გაძლიერებას, რათა ადგილობრივმა ხელისუფლებამ სრულად უზრუნველყოს მოსახლეობის ინფორმირებულობა და საჭიროებების დაკმაყოფილება.

ძალადობის მსხვერპლთა მხარადჭერის რომელ სერვისს იცნობთ ყველაზე კარგად? (ცხრილი #1)		
1	**არასამთავრობო ორგანიზაციები (მათ შორის, იურიდიული და ფსიქოლოგიური კონსულტაცია)**	125 შემთხვევა
2	**მუნიციპალური სერვისები/ ერთჯერადი დახმარება/ სოციალური პროგრამები/ მერიის დახმარება / ბინის ქირის დაფინანსება**	101 შემთხვევა
3	**თავშესაფრები/ კრიზისული ცენტრები**	86 შემთხვევა
4	**პოლიცია / 112**	68 შემთხვევა
5	**იურიდიული მომსახურება**	41 შემთხვევა
6	**116 006**	11 შემთხვევა

შენიშვნა: აღნიშნული მონაცემები მიღებულია ღია კითხვიდან, სადაც რესპონდენტები თავად ასახელებდნენ მათთვის ცნობილ მხარდაჭერის სერვისებს.

დიაგრამა №2

საიდან იღებთ ინფორმაციას ძალადობის მსხვერპლთა დახმარების და/ან სერვისების შესახებ?



- თვისებრივი კვლევის მონაცემებმა ცხადყო, რომ ძალადობაგამოვლილი ქალები არასაკმარისად არიან ინფორმირებული კანონით განსაზღვრული ძალადობის ფორმების შესახებ, **განსაკუთრებით მწირია მათი ინფორმირებულობა ფსიქოლოგიური და ეკონომიკური ძალადობის საკითხებზე.** რესპონდენტთა ნაწილი აღნიშნავს, რომ წარსულში მათ არც კი ჰქონდათ გაცნობიერებული, რომ ფსიქოლოგიური ძალადობა სამართლებრივად აღიარებული ძალადობის ფორმაა და მათზე ვრცელდება სამართლებრივი დაცვის მექანიზმები. **ერთ-ერთი რესპონდენტი ქალის თქმით, 2-3 წლის წინ, ის დარწმუნებული იყო, რომ მხარდაჭერის სერვისების მიღება, მხოლოდ ფიზიკური ძალადობის მსხვერპლებს შეეძლოთ.** გარდა ამისა, რესპონდენტებმა გამოკვეთეს ქონებრივ უფლებებთან, განსაკუთრებით განქორწინების შემთხვევებში, ინფორმირების დეფიციტი;
- ინტერვიუს დროს, ქალთა უმრავლესობამ აღნიშნა, რომ **არ ფლობდა ინფორმაციას, 2023 წლის 1 ივლისიდან „ძალადობის მსხვერპლის სტატუსი“ რომ აღარ წარმოადგენდა სერვისების მისაღებად აუცილებელ წინაპირობას.** აღნიშნული ინფორმაცია მხოლოდ მცირე ნაწილისთვის იყო ცნობილი, და ისიც ძირითადად არასამთავრობო ორგანიზაციების მეშვეობით. ინფორმაციის ნაკლებობა, საზოგადოებრივ სტიგმასთან ერთად, ხშირად აიძულებს ქალებს, თავი შეიკავონ მხარდაჭერის სერვისებისთვის მიმართვისგან, რადგან ჰგონიათ, რომ „მსხვერპლის სტატუსის“ ან „შემაკავებელი ორდერის“ გარეშე სერვისებზე წვდომა შეუძლებელია. ეს მიგნება ცხადყოფს, რომ ინფორმირების პროცესში არსებულ ხარვეზებს სერიოზული გავლენა აქვს სერვისების ხელმისაწვდომობასა და მათი გამოყენების ეფექტიანობაზე. ქალები თავს იკავებენ პოლიციისთვის მიმართვისგან, რაც უმეტესწილად საზოგადოებრივი სტიგმით არის განპირობებული, და არც ჰგონიათ, რომ მიიღებენ სერვისს „შემაკავებელი ორდერის“ ან „სტატუსის“ გარეშე. აღნიშნული მიგნებები ნათლად მიანიშნებს ცნობიერების ამაღლებისა და ინფორმირების გაძლიერების აუცილებლობაზე, რათა ქალებმა შეძლონ საკუთარი უფლებების სრულფასოვანი დაცვა და შესაბამისი მხარდაჭერის მიღება.

„ჩემთვის ძალადობა იყო მხოლოდ ფიზიკური შეხება. სანამ წლების განმავლობაში არ გავხდი ფსიქოლოგიური ტერორის მსხვერპლი. თავიდან მიმაჩნდა რომ ეს იყო ნორმა, როდესაც ოჯახის უფროსს ემორჩილები. ***ვერანაირად ვაკავშირებდი ძალადობას იმასთან, რომ ჩემი ნებით არაფრის კეთება არ შემეძლო, ჩემი გამომუშავებული ფულის ხარჯვა არ შემეძლო.*** *დღეს ვიცი, რომ ფიზიკურ ძალადობაზე არანაკლები ზიანი შეიძლება მოგვაყენოს ფსიქოლოგიურმა ძალადობამ“.* - ***ძალადობაგამოვლილი ქალი, ხობი.***

„1 წლის წინ ***არაფერი ვიცოდი საკუთარ უფლებებზე და არსებულ პროგრამებზე.*** *რამდენიმე თვის წინ ფონდი „სოხუმის“ მიერ ორგანიზებულ შეხვედრაზე გავბედე და მოვყევი ჩემი ისტორია. შემომთავაზეს სარეაბილიტაციო ცენტრში წაყვანა ჩემს შვილთან ერთად და დავთანხმდი, რადგან მძიმე ფსიქოლოგიურ მდგომარეობაში ვიყავი. იქ გავიგე, რომ მქონდა უფლებები და სხვადასხვა დახმარების პროგრამით სარგებლობა შეძელო, თუმცა* ***<u>არ მქონდა არანაირი დოკუმენტი, როგორც მსხვერპლს, არც სტატუსი ან შემაკავებელი ორდერი, რაც აუცილებელია დახმარების მისაღებად</u>.*** *ამიტომაც არ მოვინდომე, რომ მიმემართა ვინმესთვის...* ***არ მინდოდა საქვეყნოდ გამხდარიყო ჩემი ოჯახის ამბავი ცნობილი.*** *პატარა მუნიციპალიტეტია, ყველა ყველას იცნობს და არ მინდა ჩემს ბიჭსაც პატარაობიდან შევურცხვინო მამა და ვიყო დედა, რომელიც პოლიციაში დარბის.“* - ***დ.მ. 40 წლის, წალენჯიხა.***

რეკომენდაციები

- **ქალთა ინფორმირების პროცესის სისტემური გაუმჯობესება** უნდა იქცეს ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების, ასევე ყველა შესაბამისი უწყების პრიორიტეტულ ამოცანად. აუცილებელია, ფართო საინფორმაციო კამპანიების წარმოება, ძალადობის ფორმების, სამართლებრივი დაცვის მექანიზმებისა (მათ შორის საკანონმედლო სიახლეების) და მხარდაჭერის სერვისების შესახებ საზოგადოების ცნობიერების ასამაღლებლად. კამპანიები უნდა იყოს კოორდინირებული, მიზნობრივი და ადაპტირებული მოსახლეობის სხვადასხვა ჯგუფის საჭიროებებზე, რაც უზრუნველყოფს ინფორმაციის ხელმისაწვდომობას და ცნობიერების ამაღლებას ქვეყნის მასშტაბით;
- **გენდერული სტერეოტიპებისა და სტიგმის შემცირება:** სოციალური სტიგმისა და გენდერული სტერეოტიპების დაძლევის მიზნით აუცილებელია საგანმანათლებლო პროგრამებისა და საინფორმაციო კამპანიების განხორციელება, რომლებიც ხელს შეუწყობს სხვადასხვა თემში (განსაკუთრებით მცირე ქალაქებსა და სოფლებში) ძალადობის საკითხებზე ღიად საუბრის კულტურის გაძლიერებას და გენდერული თანასწორობის პრინციპების დამკვიდრებას.